სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო

ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მიერ

2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში:

**7 იანვარი 2021 წელი**

სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფის მოსწავლეებმა დისტანციურ რეჟიმში, კოსტუმირებული საკონცერტო ნომრებით საახალწლო განწყობა შექმნეს.

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფების მოსწავლეები.

**20 იანვარი 2021 წელი**

პედაგოგების ლელა ჭინჭარაული -გიგაურისა და მარიამ პაპაშვილის მასტერკლასი მსახიობის ოსტატობის ხელოვნებაში (როლების შერჩევა).
მონაწილეობდნენ : სწავლების მე-7 და მე-8 წლის ქორეოგრაფიული ხელოვნებისა და მსახიობის ოსტატობის განხრის მოსწავლეები.

**28 იანვარი 2021 წელი**

ქალბატონების ვიქტორია კუზნეცოვასა და ნინო მაღრაძის მასტერ კლასი კლასიკურ ცეკვაში.
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების - მე-III, IV წლის მოსწავლეები.

**2 თებერვალი 2021 წელი**

ლექცია - სემინარი "მუსიკა ბალეტში".

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების - მე-VI წლის მოსწავლეები.

**15 თებერვალი 2021 წელი**

ვახტან ჭაბუკიანის დაბადებიდან 111 წლისთავისადმი მიძღვნილი ლექცია სახელწოდებით "ჩვენი ვახტანგი".
მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების VI – ე წლის მოსწავლები

**27 თებერვალი 2021 წელი**

ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 111 წლის იუბილე. მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების I წლის მოსწავლეები.

**3 მარტი 2021 წელი**

სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფის მოსწავლეების მიერ, დისტანციურ რეჟიმში, კოსტუმირებული საკონცერტო ნომრებით დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფების მოსწავლეები.

**8 მარტი 2021 წელი**

სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფის მოსწავლეებმა დისტანციურ რეჟიმში, კოსტუმირებული საკონცერტო ნომრებით სარვამარტო განწყობა შექმნეს.

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფების  მოსწავლეები.

**13 მარტი 2021 წელი**

მასტერკლასი სამსახიობო მეტყველებაში.

მონაწილეობდნენ : სწავლების მე-7 და მე-8 წლის ქორეოგრაფიული ხელოვნებისა და მსახიობის ოსტატობის განხრის მოსწავლეები.

**25 მარტი 2021 წელი**





სასწავლებლის სწავლების მე-7 და მე-8 წლის ქორეოგრაფიული ხელოვნებისა და თეატრის მსახიობის განხრის მოსწავლეების ნახატების გამოფენა. თემა ``სამი ფერის ტონალობა``

**3 აპრილი 2021 წელი**

მიმდინარე წლის 3 აპრილს ქალბატონ ნინო ანანიაშვილის მოწვევით სასწავლებელს ეწვია ვაგანოვის სახელობის რუსული საბალეტო აკადემიის რექტორი, მოსკოვის დიდი თეატრის ექს-პრემიერი ნიკოლოზ ცისკარიძე, რომელმაც მასტერკლასი ჩაატარა სასწავლებლის პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის.

მონაწილეობდნენ : სასწავლებლის სწავლების მე-4, მე-6 , მე-7 და მე-8 წლის მოსწავლეები.

**12 აპრილი 2021 წელი**

სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელში სწავლების მე-4 წლის მოსწავლეებისათვის ჩატარდა მასტერ კლასი ისტორიულ - ყოფით ცეკვაში. მონაწილეობდნენ: სწავლების მე-3 წლის მოსწავლეები.

**20 აპრილი 2021 წელი**

სსიპ- ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელში ჩატარდა ლექცია სემინარი ჯონათან სვიფტის შემოქმედებაზე.

მონაწილეობდნენ: სწავლების მე-4, მე-5 და მე- 6 წლების მოსწავლეები.

**28 აპრილი 2021 წელი**



სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელში ჩატარდა მასტერ კლასი კლასიკურ ცეკვაში.
მონაწილეობდნენ : სწავლების მე-4, მე-5 წლის მოსწავლეები.

**18 მაისი 2021 წელი**

მულტიპლიკაციის შექმნის პრაქტიკული სამუშაო.
მონაწილეობდნენ: სწავლების მე-7 წლის ქორეოგრაფიული ხელოვნებისა და თეატრის მსახიობის განხრის მოსწავლეები
პედაგოგი — ლელა ჭინჭარაული - გიგაური.

**26 მაისი 2021 წელი**

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის შეხვედრა ეთნოგრაფიულ მუზეუმში.
მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების პირველი წლის მოსწავლეები.

**1 ივნისი 2021 წელი**

ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. სასწავლებელში ჩატარდა ლექცია-სემინირი მუსლიტერატურაში.
მონაწილეობდნენ: სწავლების მე-7 და მე-8 წლის მოსწავლეები.

**19-20 ივნისი 2021 წელი**

„სილქ ფაქტორი სტუდია“-ში გაიმართა სპექტაკლი ლაშა ბუღაძის პიესის "თეატრი"-ს მიხედვით. მონაწილეობდნენ სასწავლებელის ქორეოგრაფიული ხელოვენებისა და თეატის მსახიობის განხრის სწავლების მეშვიდე წლის მოსწავლეები.

**17 სექტემბერი 2021 წელი**

სასწავლებლის პედაგოგმა თეონა ჩარკვიანმა ჩაატრა მასტერ კლასი თანამედროვე ცეკვაში სწავლების მეექვსე, მეშვიდე და მერვე წლის მოსწავლეებთან.

**22 სექტემბერი 2021 წელი**

სასწავლებლის პედაგოგმა ნინო მაღრაძემ ჩაატარა მასტერ კლასი კლასიკურ ცეკვაში პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის.

**27 სექტემბერი 2021 წელი**

სასწავლებელში პედაგოგებისათვის ჩატარდა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა მსოფლიო და ქართული ბალეტის ისტორიაში , თემით „ ქართული ბალეტის კორიფეები “.

**7 ოქტომბერი 2021 წელი**

დამსახურებული არტისტისა და ღირსების ორდენის კავალერის ნანულის სარაჯიშვილის ვარსკვლავის გახსნა და შემოქმედებითი საღამო.
მონაწილეობდნენ სწავლების II, III, IV, V, VI წლის მოსწავლეები.

**15, 16,17 ოქტომბერი 2021 წელი**

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.
საბალეტო სპექტაკლი "პინოქიო" -ს პრემიერა.
მონაწილეობდნენ სწავლების II, III, IV, V და VI წლის მოსწავლეები.

**20 ოქტომბერი 2021 წელი**

სასაწვლებელში ჩატარდა მასტერ კლასი სახასიათო ცეკვაში, სწავლების VI და VII წლების მოსწავლეებისათვის.

**5-6 ნოემბერი 2021 წელი**

დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრის სცენაზე 5 და 6 ნოემბერს გაიმართა ქორეოგრაფიული სუიტა "სულთა ხორუმი"-ს ჩვენება. დადგმა თეონა ჩარკვიანის. მონაწილეობდნენ სწავლების VI, VII, VIII წლის მოსწავლეები.

**14 ნოემბერი 2021 წელი**

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.
პრემიერა, ჯ. ვერდის ოპერა "ბედის ძალა".
მონაწილეობდნენ სწავლების VIII წლის მოსწავლეები.

**19 ნოემბერი 2021 წელი**

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჯორჯ ბალანჩინის აღდგენილი პროგრამის წარმოდგენის წინ, გაიმართა შეხვედრა ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის უფროსკურსელებთან და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებთან. ჯორჯ ბალანჩინის შემოქმედების შესახებ მათ ესაუბრნენ ნინო ანანიაშვილი, საბალეტო დასის წამყვანი სოლისტები ნინო სამადაშვილი და ეკატერინე სურმავა. ბალანჩინის ფონდის ბალეტმაისტერმა ბენ ჰაისმა შეკითხვებზე პასუხები ვიდეო მიმართვის ფორმით გამოგზავნა, რომელიც შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს.მონაწილეობდნენ სწავლების VI, VII, VIII წლის მოსწავლეები.

**20 ნოემბერი 2021 წელი**

სასწავლებლის პედაგოგის მანანა მესხის ხელმძღვანელობით სასწავლებელში ხორციელდება პროექტი - "ბერძნული მითოლოგია მუსიკაში" , რომელიც მოიცავს სხვადასხვა ეპოქასა და მოვლენებს . ამ ეტაპზე წარმოდგენილი იქნა თემა "ისევ ორფევსი"

**20-21 ნოემბერი 2021 წელი**

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.
ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფიის საღამო. მონაწილეობდნენ სწავლების VI, VII წლის მოსწავლეები.

**26 ნოემბერი 2021 წელი**

სასწავლებელში ჩატარდა საჩვენებელი გაკვეთილი მსახიობის ოსტატობაში ვარიაცია სარკისებური მოქმედებები და ეტიუდი "პაემანი".

მონაწილეობენ სასწავლებლის სწავლების II,III ,IV , V წლის მოსწავლეები.